ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1830583

ნომერი: AR1298589

თარიღი : 01.04.2015

გაცემის თარიღი : 08.04.2015

გაცნობის თარიღი : 08.04.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ქალაქ "მზიური"-ს ტერიტორიიდან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იაკობ გვალია პ/ნ 01005004078
- ჭავჭავაძის 37დ, ბ 30

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1298589 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.14.005.160) არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიას მოხსნილი აქვს განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსი, საქართველოს პრეზიდენტის #686 (02.09.2013) ბრძანებით, „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 21 ივნისის #435 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
აქვე გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით, არქიტექტურის სამსახურის მიერ მიმდინარეობს პარკ „მზიური“–ს ქალაქგეგმარებითი კონცეფციის დამუშავება, შესაბამისად საკითხის გადაწყვეტამდე, მოცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.